საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1430-02
16/06/2017

,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საბჭოთა კვლევების მიმართულებით პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ “ რექტორის 2017 წლის 31 მარტის N672-02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის მეორე პუნქტის და 2017 წლის 14 ივნისის N35/2279 მინდობილობის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.შეტანილ იქნას ცვლილება რექტორის 2017 წლის 31 მარტის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საბჭოთა კვლევების მიმართულებით პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ “ N672-02 ბრძანების მე-7 პუნქტში და კონკურსის შედეგები გამოცხადდეს 2017 წლის 26 ივნისს, ნაცვლად 2017 წლის 19 ივნისისა.
2.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.
3.კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურებისათვის: მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორის მინდობილი პირი